

**STYLISTIC FUNCTION OF SYNONYMOUS PARALLELISM ACCORDING TO
OTAR CHKHEIDZE “BERMUDA TRIANGLE“**

სინონიმური პარალელიზმის სტილური ფუნქცია ოთარ ჩხეიძის
„ბერმუდის სამკუთხედის“ მიხედვით

Eka Khanishvili

Doctoral Student of Sokhumi State University,
Tbilisi, A. Politkovskaia 61, 0186, Georgia,
+995 577 09 43 94, khanishvili.eka@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-9116-6043>

Abstract. It is not easy to talk about the stylistic function of synonymous parallelism of the writer, especially if the writer has a special attitude towards language. There are several writers in Georgian literature, whose writings we recognize momentarily. It is impossible not to recognize Otar Chkheidze, whose language style is completely outstanding.

The Georgian language is quite rich in expressive and stylistic means. Their use was gradually formed and improved throughout the history of the language. One of the sources of stylistic means is lexical and grammatical synonymics, which is a manifestation of the richness and flexibility of the language vocabulary. It is important to accurately select a synonymous word, draw and describe a concept or event, this is already art.

The present work discusses the stylistic function of Otar Chkheidze's novel “synonymous parallelism of the Bermuda Triangle, in particular, attention is focused on samples of both handle, verb and noun synonymous parallelism.

Key words: Style, Vocabulary, Synonymics, Concept, Word.

ეკა ხანიშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 61, 0186, საქართველო,
+995 577 09 43 94, khanishvili.eka@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-9116-6043>

აბსტრაქტი. მწერლის სინონიმურ პარალელიზმის სტილურ ფუნქციაზე საუბარი ადვილი არ გახლავთ, მითუმეტეს, თუ მწერალს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ენისადმი. ქართულ ლიტერატურაში რამდენიმე მწერალია, რომელთა ნაწერებს მომენტალურად ვცნობთ. შეუძლებელია ვერ იცნო ოთარ ჩხეიძე, რომლის ენობრივი სტილი სრულიად გამორჩეულია.

გამომსახველობითი და სტილისტური საშუალებებით ქართული ენა საკმაოდ მდიდარია. მათი გამოყენება თანდათან ყალიბდებოდა და იხვეწებოდა ენის ისტორიის მთელ მანძილზე. სტილისტურ საშუალებათა ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ლექსიკური

და გრამატიკული სინონიმია, რომელიც ენის ლექსიკის სიმდიდრისა და მოქნილობის გამოვლინება არის. მნიშვნელოვანია ზუსტად შეარჩიო სინონიმური სიტყვა, დახატო და აღწერო ცნება თუ მოვლენა, ეს უკვე არის ხელოვნება.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ოთარ ჩხეიძის რომან „ბერმუდის სამკუთხედი“ სინონიმური პარალელიზმის სტილური ფუნქცია, კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია როგორც სახელური, ისე ზმნური და სახელზმნური სინონიმური პარალელიზმის ნიმუშებზე.

საკვანძო სიტყვები: სტილი, ლექსიკა, სინონიმია, ცნება, სიტყვა.

შესავალი. სინონიმების შესახებ მსჯელობისას ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ვხვდებით. „განვითარებული სინონიმია, მნიშვნელობით ერთმანეთთან ახლოს მდგომი, მაგრამ ნაირნაირი დამატებითი აზრობრივი, ექსპრესიულ-ემოციური ელფერებითა და სტილური იერის მიხედვით განსხვავებული სიტყვების სიუხვე შესაძლებლობას იძლევა ამოვარჩიოთ საჭირო სიტყვა აზრის, გრძობის გამოსახატავად, გამოსახატავი ობიექტისადმი მოლაპარაკის ან მწერლის დამოკიდებულების გადმოსაცემად... სემანტიკურად დიფერენცირებული სინონიმები წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა აზრის ელფერების, ზოგჯერ მეტად ფაქიზი ელფერების ზუსტად გადმოცემის საშუალებას“ (Морен & Тетеревникова, 1960: 192-193).

ა. შანიძეს სინონიმური გამოთქმები მწერლის სტილის დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნია. ამის მიხედვით აფასებს მკვლევარი კერძოდ გიორგი მთაწმინდელის თავისებურ სტილს (შანიძე, 1946: .80).

ალექსანდრე ღლონტი წერს, რომ როგორც უნდა გავიგოთ სინონიმური გამოთქმების მხატვრულ-ენობრივი ფუნქცია, ერთი ცხადია: სინონიმური სიტყვები და გამოთქმები ენის ლექსიკის სიმდიდრეა, ისინი მეტ გამომსახველობას, ექსპრესიულობას ანიჭებენ ენას (ღლონტი, 1971: 53).

სინონიმი გახაზავს საგნის ან მოვლენის რომელიმე მხარეს, მათ ისეთ თავისებურებას, რაც სხვა სიტყვით არ გამოიხატება. ყოველი სინონიმი საგანს ან მოვლენას ახალ ასპექტში გვიჩვენებს და მათდამი ადამიანის სუბიექტურ დამოკიდებულება-მიმართულებასაც ავლენს.

მეთოდი. ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შედარებითი, თვისობრივი, აღწერითი. კვლევის წარმოებისას მივმართეთ როგორც სახელური, ისე ზმნური და სახელზმნური სინონიმურ პარალელიზმებს, რომლებიც ტექსტიდან დავიმოწმეთ.

შედეგები და მსჯელობა. ოთარ ჩხეიძის რომანი „ბერმუდის სამკუთხედი“ თანამედროვე ქართლის მატანეა. რომანის სათაური - „ბერმუდის სამკუთხედი“ - მეტაფორულად არის გასააზრებელი; რომანის ქრონოტოპი მიემართება ქაოტურ მდგომარეობაში მყოფი, უკვე თავისუფლებამოპოვებული საქართველოს რეალობას. მსგავსად იმისა, როგორც ბერმუდის სამკუთხედში უწინარდება ყოველივე, საქართველოშიც სადღაც ჩაიკარგა ეროვნული მუხტი“ (პეტრიაშვილი, 2021: 31).

ავტორი ყოველგვარი შეფარდებისა და კორექტირების გარეშე, ფეხდაფეხ აღწერს მიმდინარე პროცესებს. იმდენად პირუთვნელია სიმართლე, იმდენად ნიჩაბჩამოხსნილად არის ნაჩვენები ქართული საზოგადოების ზედაფენის დეგრადაცია, რომ ნაწარმოების კითხვისას ტკივილნარევი სევდა გვიპყრობს“ (სადღობელაშვილი, 2010).

რომანის მთავარი გმირი არაფრით გამორჩეული პიროვნება გიზო კორძეია, ქართული ხისგან გამოთლილი მშვილდის, ან „ცულის ტარი“, რომელსაც ამ ფესვმაგარი ხის ახალამოყრილი ყლორტების დასხეპა განუზრახავს.

რუსუდან ნიშნიანიძე ამბობს, რომ ოთარ ჩხეიძე რომანებში არცთუ იშვიათად მიმართავს იგავურ ხერხს. „სახიფათო ეპიზოდებშიც“ შეუძლია, „გარისკოს“ - სარკაზმი ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა მისი პროზისა. შესაძლოა, ის სტილურ ხერხადაც იქცეს, მაგრამ ავტორისათვის შინაგანი ტრაგიზმის ნაწილიც არის. მწერალი სათაურსაც სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს. შესაბამისად, ისინი ფრიად მეტყველია: „უშრეტი თვალი“, „მოზარე გმირთა ვარამისა“, „ბურუსი“, „რა გადაარჩენს საქართველოს“, „ბერმუდის სამკუთხედი“. თუნდაც „ბერმუდის სამკუთხედი“ - რომანის დასათაურებაა, ის ინტერპრეტაციის არაერთ შესაძლებლობას უშვებს.

„ბერმუდის სამკუთხედი“ - საიდუმლო, რომლის ახსნა კაცობრიობამ ვერ შეძლო.

„ბერმუდის სამკუთხედი“ - სადაც უჩინარდება (ნადგურდება) ყველაფერი, რაც მის არეალში მოხვდება.

„ბერმუდის სამკუთხედი“ - რომელიც გეოგრაფიულად ერთ კონკრეტულ სივრცეში არსებობს, მაგრამ რას მოიცავს თავად, ყოვლად გაურკვეველია.

ბერმუდის სამკუთხედში მოქცეული ოცდამეერთე საუკუნის მიწურულის საქართველო.“ (ნიშნიანიძე, 2011: 12)

ნესტან ფიფია „ბერმუდის სამკუთხედი“ სათაურის შესახებ განმარტავს, რომ ის მრავალმნიშვნელოვნად ჩაფიქრებულა. საქართველოს საბოლოო გაცამტვერებისათვის რუსეთმა მოამზადა ბერმუდის სამკუთხედი: სოხუმი- ცხინვალი- ბათუმი, ამ სამკუთხედს საბოლოოდ უნდა შეეწირა ქვეყანა. სამკუთხედის ყოვლის გამანადგურებელი ძალის გასაღები რუსეთს ჰქონდა ყოველთვის, აღმასრულებელნი კი „სიმრთელედარღვეული“ ქართველები იყვნენ.

მწერალმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მან რომანის დაწერამდე საგულდაგულოდ შეისწავლა ამ სამკუთხედის თეორია. ბუნებრივია, მას მისი მოქმედების სისტემა აინტერესებდა, რათა ის ზუსტად დაეკავშირებინა ერის სულიერ ენთროპიისათვის (ფიფია, 2006: 88).

იმედისმომცემად შენიშნავს როსტომ ჩხეიძე, საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ მტრის ორღესულ მახვილს : „ეს ჩვენი ბერმუდული ბედისწერა კიდევ გვშთანთქავდა და კიდევ ხელახლა ამოგვანთხევდა გველეშაპის წიაღიდან კვლავ დაბადებული ამირანივით“ (ჩხეიძე, 2008: 793).

გარკვეული ფუნქციით მიმართავს მწერალი სინონიმურ წყვილებს. ხშირად ეს ავტორის სტილის, ნაწარმოების ჟანრისა თუ სტილისტიკის, პერსონაჟის თავისებურებების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

სინონიმი, როგორც ცნობილია, არის ენობრივ ერთეულთა სემანტიკური მიმართების ტიპი და მისი არსი მდგომარეობს სრულ და ნაწილობრივ დამთხვევაში. სინონიმები ლექსიკური მარაგის გამდიდრების ულვევი წყარო და ამიტომ მათი სიუხვე განაპირობებს ენის ლექსიკური შემადგენლობის მრავალფეროვნებას. ლექსიკურ სინონიმთა სიუხვე აქტიურად იჩენს თავს ცოცხალ მეტყველებაში. მათი დიდი რაოდენობა ასახულია ლექსიკონებსა და ტექსტებში.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ლექსიკურ სინონიმთა წარმეცნის რამდენიმე წყაროზე მიუთითებენ. ბ. ფოჩხუას მიხედვით, სინონიმთა შეიძლება გააჩინოს: ა) დიალექტური ან ნაირსახოვანი სიტყვების თავმოყრამ; ბ) მნიშვნელობის ცვლილებამ (ფოჩხუა, 1974: 35);

რაიმე მოვლენის, საგნის თუ პერსონაჟის დახასიათების, დაზუსტება - დაკონკრეტებისათვის შერჩეული სიტყვები უმეტესწილად სინონიმური წყვილებია - მსგავს ენობრივ ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთაც „აქვთ საერთო დისტრიბუცია

და შესწევთ კონტექსტში ურთიერთშენაცვლების უნარი“ (ჯ. სილაგაძე, 1981); თანაბარმნიშვნელობის ფონზე დომინანტის სტატუსით გამოიყოფა ერთ-ერთი (გამყრელიძე, 2003), თუმცა გამომსახველობითი ძალით მხატვრულ ტექსტში დომინანტის ფუნქციას შეიძლება ჩაანაცვლოს დიალექტურმა ან არქაულმა, თუნდაც წარმოქმნილმა ფორმამ, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში უფრო ზუსტად ერგება სათქმელს, მისადაგება კონტექსტს და ექსპრესიულ-ემოციური ნიშნის მიხედვით გამოირჩევა. მსგავსი მონაცვლეობა ოთარ ჩხეიძის ენობრივი სტილის სპეციფიკას ქმნის: (ზვიადაძე, 2023 :29).

სინონიმები განსხვავდებიან კონოტაციებით - თანმხლები სემანტიკური, ექსპრესიულ - ემოციური კომპონენტებით, რომლებიც ავსებენ სიტყვას თუ ფრაზას. მწერალი იმ ნიუანსს, რომელიც ერთ სიტყვას აკლია, მეორეთი ავსებს, მეორეს - მესამეთი... და გვეძლევა განსხვავებული შეფერილობა, საბოლოოდ კი საგანზე წარმოდგენა დასრულებულ სახეს იღებს.

ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიპყრო სინონიმურმა პარალელიზმმა ოთარ ჩხეიძის პროზის ენაში, სადაც ერთ კონტექსტში, ერთი წინადადების შიგნით საკმაოდ ფართოდ გამოიყენება და საერთო ნიშნის სინონიმურ პარალელიზმს ქმნის (ფილაშვილი, 2013: 202).

ყოველ მწერალს აქვს სინონიმთა შექმნის ინდივიდუალური სტილი, მანერა. წესისამებრ, სიტყვათა გარკვეული ნაწილი ქმნის სინონიმურ მწკრივებს, სინონიმურ რიგს, რომელსაც „სინონიმურ პარალელიზმს“ უწოდებენ (ძიძიგური, 1960: 65).

მდიდარი სინონიმისა საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად, მხატვრული ნიუანსობრიობით ასახოს რეალური სინამდვილე, მწერალი მისი საშუალებით აზუსტებს სიტყვის სემანტიკურ მნიშვნელობას, აძლევს ემოციურ-ექსპრესიულ ელფერს, ანიჭებს პროდუქტიულობის უნარს და ქმნის სინონიმურ პარალელიზმს.

ინტერესს იწვევს, თუ როგორ და რა პრინციპით ქმნის ოთარ ჩხეიძე სინონიმურ პარალელიზმის ნიმუშებს. საანალიზო წყაროებზე („ბერძენის სამკუთხედი“) დაკვირვებით გამოვლინდა შემდეგი:

დასტურდება როგორც სახელური, ისე ზმნური და სახელზმნური სინონიმური პარალელიზმის ნიმუშები:

ზმნური სინონიმური პარალელიზმი:

„ყვავილებიც ჰო გაგაკვირვებდა ფერადოვნებითა. გაგაკვირვებდა. გაგაოცებდა. განცვიფრდებოდი“ (ჩხეიძე, 2001: 8);

„იმას არ ესმოდა. გატაცებულიყო, ანთებულიყო, ვარვარებდა ღუმელებივითა რუსთავისა“ (ჩხეიძე, 2001: 12);

„გაჰყურებს თანაცა იმა შემოსულსა, რო აწურულა კარებთანვე, გაჰყურებს, ამხნევეს, ათამამებს, გაჰყურებს ისე“ (ჩხეიძე, 2001: 16);

„ააშენებდნენ ქვეყანასა, დაამშვენებდნენ ქვეყანასა, ააყვავებდნენ, გაფურჩქნიდნენ, დაასხმევინებდნენ ნაყოფსა უამრავსა“ (ჩხეიძე, 2001: 26);

„არცერთი არ მოსწონთ. ვერ შეუცვლიათ. დაგობენ. კამათობენ“ (ჩხეიძე, 2001: 38);

„სხვა არ ეშვებოდა. ემატებოდა ასეთებიცა. ბრიალებდა, ბრდღვიალებდა, გრიალებდა შერატონ- მეტეხი- პალასი“ (ჩხეიძე, 2001: 40);

„ეუბნებოდა. ეუბნებოდა. ეხვეწებოდა. ემუდარებოდა: ნუ მოაწყობ მიტინგებსა რესპუბლიკის მოედანზე“ (ჩხეიძე, 2001: 58);

„ხმა ჩახლეჩოდა, ჩახახვოდა, ჩაფხრეწოდა ხმაი, მაინც ვერაო, ვერა სჯობნიდნენ“ (ჩხეიძე, 2001: 60);

„ამას წესრიგი ევალებოდა. არეულიყო დიდი ქალაქი. შეშლილიყო. გადარეულიყო. ყველაფერი ჭირდა“ (ჩხეიძე, 2001: 61);

„რო არ მოგიხერხდა, ახლა რაღას იზამ, უნდა უცქირო თუ როგორ ისტუმრებენ სატრფოსა საროსკიპოში და იხარხარო, იცმუკო, იკუნტრუშო თუ არ გინდა რო მოხუცი ეგონო ირგვლივ მსხდომებსა“ (ჩხეიძე, 2001: 162);

უზვადაა სახელური და სახელზმნური სინონიმური პარალელიზმის შემთხვევები:

„დაცურებული მზე იყო მომხიბლავი, წარმტაცი, საამო, იდუმალი“ (ჩხეიძე, 2001:4);

„გაეგონა და განაგონს თუ მოიგონებდა, ისე მკრთალადა, ისე ყრუდა, - არც სათქმელია“ (ჩხეიძე, 2001: 6);

„ის სხვა ზარია, რეკავს, გუგუნებს ომახიანადა, შორით შორს მისწვდება, შორეულს უხმობს, ეს სხვა ზარია: ფრთხილი, შემპარავი, მახლობელსაც რო ჩამოგაშორებს“ (ჩხეიძე, 2001: 14);

„თქვენ დედანზე მიგიწვდებათ ხელი, ჰო ასეთია, - ასეთი, ასეთი: ამალღებული, აღმატებული, რო ვერ შესწვდება, ასეთი, არა!..“ (ჩხეიძე, 2001: 34);

„ხალხი არ მოგდევთ. გამყიდველები, მომხვეჭელები, მექრთამეები, ყბელები, მყვლეფელები, მატყუარები, გაიძვერები, თაღლითები, ღვთისპირისაგან შეჩვენებულნი და წყეულნი მოგდევნ“ (ჩხეიძე, 2001: 80);

„შეჰხედა თბილადა, ტკბილადა, ნეტარადა, როგორც რო მამასა ჩვილისა იმისა, მკერდქვეშ რო უთრთოდა“ (ჩხეიძე, 2001: 170);

„მიაგნეს: აიო, - შესძახა სოფიკომა. აღტაცებითა. აღფრთოვანებითა“ (ჩხეიძე, 2001: 174);

„საოჯახო საქმეს მიჰხედავდა. წყნარადა. უხმაუროდა“ (ჩხეიძე, 2001: 176);

აზრის გაძლიერების მიზნით ოთარ ჩხეიძე უზვად გვთავაზობს პლეონასტურ გამეორებას, რომელიც სინონიმურ გამოთქმებს მოგვაგონებს, მაგალითად:

„ცხარობდა. ცხარობდა. ტკბებოდა. და. ცხარობდა. გრიბოედოვი არა ცხარობდა“ (ჩხეიძე, 2001: 7);

„ხარებივით დასწაფებიან. აქეთ ისინი, იქით სპარსები. დასწაფებიან. დასწაფებიან. სარდლებს ძლივას წამოუყრიათ“ (ჩხეიძე, 2001: 14);

„დიოდა. დიოდა. დიოდა. გაიმართა ეს სადინარცა. ერთხელ წაუხუმრა გიზომა. იმასა“ (ჩხეიძე, 2001: 16);

„ითლიდნენ, ითლიდნენ, ითლიდნენ იქაცა ექოსავითა. საბჭოების დროსაც ითლიდნენ“ (ჩხეიძე, 2001: 20);

„დადიოდა. დადიოდა. დადიოდა. ის აწუხებდა: რატომ დავაყოვნე, როდის იყო რო: რაიმეს გადავდებდი ერთი რომელიმე საქმის გამო“ (ჩხეიძე, 2001: 25);

„არც დახმარებები არა შველოდა, ინვესტიციებიც არა ჰშველოდა, თავისი ხალხიც არა სა ჰშველოდა“ (ჩხეიძე, 2001: 30);

„წრუპავს. წრუპავს. წრუპავს თვალებსა. მაინც ვერ წაიყვანდა შერატონ-პალასში: უეცრად იმას რო შევფეთებოდიო“ (ჩხეიძე, 2001: 37);

„ტრიალებს, ტრიალებს, რაღა არაო, ჰავიერ სოლანაც აქა ტრიალებს, პრეზიდენტებიცა სხვადასხვა ქვეყნისა“ (ჩხეიძე, 2001: 37);

„დათანხმდა, წავიდეთო. გადასდო. და. გადასდო. გადასდო. და. გადასდო. როდემდის გადასდებდა?..“ (ჩხეიძე, 2001: 45);

„გაიყრებიან. მეორე მიდის. მიდის. მიდის. შემობრუნდება. განმეორდება იგივე სურათი“ (ჩხეიძე, 2001: 49);

„თავს იკავებდნენ. თითებს იგრებდნენ. იგრებდნენ. იგრებდნენ. იგივე აწუხებდათ: რა იქნა ხალხიო“ (ჩხეიძე, 2001: 57);

„ანთუ რა ხოლმეო, - ბრაზობდა, ბრაზობდა, ბრაზობდა. და. ბრაზობდა. სხვა არც რა იყო ცხოვრება იმისი“ (ჩხეიძე, 2001: 69);

- „კომისია იძიებდა. იძიებდა. იძიებდა. მალე გამოვფენთ შედეგებსაო“ (ჩხეიძე, 2001: 82);
- „უნდა განაგრძოსო თუ... იღიმება. იღიმება. ისიც იღიმება“ (ჩხეიძე, 2001: 89);
- „იგორ გიორგაძე ჰო დაიფრინა და დაიფრინა. ნადიბაიძეც დაიფრინა. იმპიჩმენტი მოუწყო კვირაიასა“ (ჩხეიძე, 2001: 92);
- „ურტყამდნენ. და. ურტყამდნენ. პირველი მოსმენითაო. მეორე მოსმენითა. მესამე მოსმენითაო. ურტყამდნენ. და. ურტყამდნენ“ (ჩხეიძე, 2001: 98);
- „რამდენი წვრთნა უნდა დიდმოხელესა, - ესენი ცხვებიან სახელდახელოდა. ცხვებიან. ცხვებიან თაფლავაშვივითა“ (ჩხეიძე, 2001: 98);
- „მრჩეველთა საბჭო ეძიებდა პასუხსა. ეძიებდა. ეძიებდა. ეძიებდა. რაღას არ მიედო. რაღას არ მოედო“ (ჩხეიძე, 2001: 106);
- „მერე აიწევს. აიწევს. აიწევს. ავა. შეეფინება მთის კალთებსა. იქ ჰო ტბა ჩავარდნილა“ (ჩხეიძე, 2001: 115);
- „აგმაცუნებდა ტუჩებსა. აგმაცუნებდა. აგმაცუნებდა. მეტი არაფერი. ხმას არ გამოსცემდა“ (ჩხეიძე, 2001: 120);
- „არეული სუფრაც ჰო გინახავს? ... გინახავს. გინახავს. მეტი რა გინახავს. თამადა ნიჭია. ღვთიური მადლია თამადობაი“ (ჩხეიძე, 2001: 142);
- „წრიალებდა ის წვეთი. წრიალებდა ყურშია. წრიალებდა. წრიალებდა. არ იქნა, ყური არ გაუხვრიტა“ (ჩხეიძე, 2001: 143);
- „გამოეცალნენ. გამოეცალნენ. გამოეცალნენ. გაიპნენ ეგრე შუაზედა. გაიპნენ. გაიყვნენ. კედელთან ჰო...“ (ჩხეიძე, 2001: 164);
- „ეს იქიდან მოსდევს, - საბჭოური ბედნიერებიდანა. მოსდევს. მოსდევს. ბევრი რამ მოსდევს“ (ჩხეიძე, 2001: 165);
- „არც რა შეცვლილიყო, ოღონდ წინათ რო ყარაყორუმს მირბოდნენ, თეირანს მირბოდნენ, სტამბოლს მირბოდნენ, მირბოდნენ მოსკოვსა საჩივრებითა, ახლა სტრასბურგი გამოეყოთ საამისოდა“ (ჩხეიძე, 2001: 166);
- „მე მგონია...“ აყოვნებს. სოფიკოი. აყოვნებს. აყოვნებს. ალბათ რო : მკითხოსო“ (ჩხეიძე, 2001: 167);
- „დაიძინებენ. დაიძინებენ თვითონაცა. დაიძინებენ გაბუტულებივითა. სიცილის მერე კრინტიც არ დაუძრავთ“ (ჩხეიძე, 2001: 169).

დასკვნა. ოთარ ჩხეიძე სინონიმებით გადმოსცემს ემოციას, განწყობას, ჩანს მისი დამოკიდებულება სუბიექტის მიმართ. სინონიმთა ემოციურობა ყოველთვის დაკავშირებულია სტილურ ნაირფეროვნებასთან. მწერლის პროზის ენისათვის დამახასიათებელი ავტორისეული, ინდივიდუალური, კონტექსტუალური, ზმნური და ა.შ. სინონიმური წყვილები, რომლებიც სცილდებიან საერთოენობრივ სინონიმებს და მხოლოდ მწერლის კუთვნილებად რჩებიან.

ამგვარად, ოთარ ჩხეიძე ოსტატურად იყენებს სინონიმურ ლექსიკას, ზუსტად არჩევს სიტყვასა თუ ფრაზას, სძენს მაღალმხატვრობას, სრულყოფილებას და ქმნის ინდივიდუალურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სტილს (ფილაშვილი, 2013: 205).

ნებისმიერი ავტორის შემოქმედების კვლევა იძლევა საშუალებას, გამოვლინდეს მის მიერ სულიერი სამყაროს თავისებურად აღქმის სპეციფიკა, რაც, რა თქმა უნდა, ენობრივი რესურსის შერჩევას ეფუძნება. სიტყვა და საერთოდ კონტექსტი აღძრავს გარკვეულ ასოციაციებს. ენობრივი რესურსის მახვილგონივრული შერჩევით მწერალი ხატავს ეპოქას, მწერალი ააშკარავებს უამრავ სიყალბეს და ამას მაღალოსტატურად ახერხებს სწორედ ირონიული ინტონაციების შექმნით, რომლის ენობრივი საფუძველი გახლავთ სტილისტიკური ფუნქციით გამოყენებული გრამატიკული ფორმები და, რაღა თქმა უნდა, მდიდარი და მრავალფეროვანი სინონიმური წყვილები.

გამოყენებული ლიტერატურა

- გამყრელიძე, თ. (2003). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი.
- ზვიადაძე, თ. (2023). *მწერლის ენობრივ-შემოქმედებითი სამყარო*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ნიშნიანიძე, რ. (2011). *ოთარ ჩხეიძე (ლიტერატურული პორტრეტი). ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“.
- პეტრიაშვილი, ნ. (2021). „დარღვეული სული“ ოთარ ჩხეიძის „ბერმუდის სამკუთხედის მიხედვით“. *ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“.
- სადღობელაშვილი, მ. (2010). *თანამედროვეობის ასახვა ოთარ ჩხეიძის რომანში „ბერმუდის სამკუთხედი“*.
- სილაგაძე, ჯ. (1981). *ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის საკითხები*. თბილისი.
- ფილაშვილი, ე. (2013). სინონიმური პარალელიზმის სტილური ფუნქცია ოთარ ჩხეიძის პროზის ენაში. *ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“.
- ფიფია, ნ. (2006). *ძენი დაბნეულნი*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
- ფოჩხუა, ბ. (1974). *ქართული ენის ლექსიკოლოგია*. თბილისი.
- ღლონტი, ა. (1971). *ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები*. თბილისი.
- შანიძე, ა. (1946). *გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით*. თბილისი. გამომცემლობა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჩხეიძე, ო. (2001). *ბერმუდის სამკუთხედი*. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“.
- ჩხეიძე, რ. (2008). *აგვისტოს შვილები: მამაჩემი ოთარ ჩხეიძე*. თბილისი.
- ძიძიგური, შ. (1960). *საენათმეცნიერო საუბრები*. თბილისი.
- Морен М. К., & Тетеревникова, Н. Н (1960). *Стилистика современного французского языка*. Москва.

REFERENCES

- gamqrelidze, t. (2003). *teoriuli enatmetsnierebis k'ursi [Theoretical Linguistics Course]*. Tbilisi.
- zviadadze, t. (2023). *mts'erlis enobriv-shemokmedebiti samqaro [Linguistic-creative world of the writer]*. Tbilisi: Publishing House „Universali“.
- nishnianidze, r. (2011). *otar chkheidze (lit'erat'uruli p'ort'ret'i) [Otar Chkheidze (literary portrait)]. otar chkheidzisdmi midzghvnili sametsniero k'onperentsiis masalebi [Materials of the scientific conference dedicated to Otar Chkheidze]*. Tbilisi: Publishing House „Chveni mtserloba“.
- p'et'riashvili, n. (2021). „darghveuli sul“ otar chkheidzis „bermudis samk'utkhedis mikhedvit“ [„Broken Soul“ Otar Chkheidze, according to Bermuda Triangle]. *otar chkheidzisdmi midzghvnili goris sakhelmts'ipo universit'et'is sametsniero k'onperentsiis masalebi [Materials of the scientific conference of Gori State University dedicated to Otar Chkheidze]*. Tbilisi: Publishing House „Chveni mtserloba“.
- sadghobelashvili, m. (2010). *tanamedroveobis asakhva otar chkheidzis romanshi „bermudis samk'utkhedi“ [Reflection of Modernity in Otar Chkheidze's novel “Bermuda Triangle“]*.
- silagadze, j. (1981). *kartuli salit'erat'uro enis leksik'uri sinonimik'is sak'itkhebi [Issues of lexical synonymics of the Georgian literary language]*. Tbilisi.

- pilashvili, e. (2013). *sinonimuri p'aralizmis st'iluri punktisia otar chkheidzis p'rozis enashi* [The stylistic function of synonymous parallelism in the prose language of Otar Chkheidze]. *otar chkheidzisadmi midzghvnili telavis sakhelmts'ipo universit'et'is sametsniro k'onperentsiis masalebi* [Materials of the scientific conference of Telavi State University dedicated to Otar Chkheidze]. Tbilisi: Publishing House „Chveni mtserloba“.
- pipia, n. (2006). *dzeni dabneulni* [The son is confused]. Tbilisi: Publishing House „Intelekti“.
- pochkhua, b. (1974). *kartuli enis leksik'ologia* [Lexicology of the Georgian language]. Tbilisi.
- ghlont'i, a. (1971). *kartuli leksik'ologiis sapudzvebi* [Basics of Georgian lexicology]. Tbilisi.
- shaidze, a. (1946). *giorgi mtats'midlis ena iovanes da eptvimes tskhovrebis mikhedvit* [The language of Giorgi Mtatsmidli according to the life of Iovane and Eftvime]. Tbilisi: Publishing House of the Georgian Academy of Sciences.
- chkheidze, o. (2001). *bermudis samk'utkhedi* [Bermuda Triangle]. Tbilisi: Publishing House „Lomisi“.
- chkheidze, r. (2008). *agvist'os shvilebi: mamachemi otar chkheidze* [Children of August: My father Otar Chkheidze]. Tbilisi.
- dzidziguri, sh. (1960). *saenatmetsniro saubrebi* [Linguistic conversations]. Tbilisi.
- Moren M. K., & Teterevnikova, N. N (1960). *Stilistika sovremennogo francuzskogo jazyka* [Stylistics of modern French]. Moscow.